



ბრძანება:ბ14.14242006

თარიღი:18/07/2024

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, „ბათუმის ცენტრალურ პარკში“ და მომიჯნავე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების კომერციული საქმიანობის განხორციელების მიზნით იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისათვის პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის, 122-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილებისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №გ-15.15241213 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წინამდებარე ბრძანების დანართი 1-ში მითითებული მიწის ნაკვეთების კომერციული საქმიანობის განხორციელების მიზნით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისათვის 2024 წლის 01 აგვისტოდან 01 დეკემბრამდე.

2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების 1 (ერთი) კვ.მ.-ს წლიური საიჯარო ქირა განსაზღვრულია 1188 (ერთი ათას ას ოთხმოცდარვა) ლარის ოდენობით, ერთი კვ.მ.-ს 4 (ოთხი) თვის საიჯარო ქირა 01 აგვისტოდან 01 დეკემბრამდე განისაზღვროს 396.00 (სამას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით.

3. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, „ბათუმის ცენტრალურ პარკში“ და მომიჯნავე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების კომერციული საქმიანობის განხორციელების მიზნით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, წინამდებარე ბრძანების დანართი 2-ის და დანართი 3-ის თანახმად.

4. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

5. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე: www.eauction.ge.

6. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე: www.batumi.ge.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

